ახალი ხარაგაული

304 (31) 24 ნოემბერი, 2015 წ

ბიუროს სხდომაზე საბიუჯეტო ცვლილების შესახებ იმსჯელეს

16 ნოემბერს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომა გაიმართა. სხდომის დაწყებამდე, ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ, ვარლამ (ტატო) თავზარაშვილმა, განცხადება გააკეთა. ,,გამომდინარე იქიდან, რომ 9 თვის ბიუჯეტის განხილვის პროცესი მიმდინარეობს, უმრავლესობამ გადაწყვიტა, სხდომებს დაესწროს, თუმცა საკითხთან დაკავშირებით, რის გამოც დეპუტატებმა საკრებულოს სხდომა დატოვეს დაწყებულია ადმინისტრაციული სამართალწარმოება და ასევე უახლოეს მომავალში გამგებლისგან რეაგირებას ველოდებით.“ ამის შემდეგ დეპუტატებმა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები განიხილეს და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N53 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე იმსჯელეს. საკითხი მათ გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, ვლადიმერ გელაშვილმა, გააცნო. მოხსენებითი ბარათის თანახმად, ა(ა)იპ-ებს დამატებითი სუბსიდია გამოეყოთ. კერძოდ, საფეხბურთო კლუბ „ჩხერიმელა - 2009“-ს – 30 000 ლარი; „ხარაგაულდასუფთავებას“ -35 000 ლარი; სპორტისა და მუნიციპალური განვითარების ცენტრს - 8 000 ლარი; მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალურ ცენტრს - 2 800 ლარი; სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანებას - 8 000 ლარი; კულტურის ცენტრს - 8000 ლარი.

ასევე 2 50 000 ლარი გამოიყოფა ფარცხნალის გზის ბეტონის საფარის მოწყობაზე.

აღნიშნული ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელებით დაინტერესდა საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ვარლამ ჭიპაშვილი და აღნიშნა: ,,მივესალმები ხარაგაული - ფარცხნალის გზის რეაბილიტაციის დაწყებას, ეს ძალიან კარგია. მართალია, ყველა პრობლემის მოგვარება ჩვენთვის მნიშვნელოვანია და ეს საკითხიც მოწონებული აქვს საკრებულოს, მაგრამ საინტერესოა, რა პრიორიტეტით შეირჩა ეს პროექტი.“

„ფარცხნალის გზის რეაბილიტაცია მაჟორიტარი დეპუტატის, ნოდარ ებანოიძის აქტიური ჩართულობით დაფინანსდა“ - აღნიშნა საკრებულოს თავმჯდომარემ, ინგა მაღრაძემ.

სხდომაზე აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია ა(ა)იპ -ებისთვის თანხების დამატებამ. ფრაქცია „ქართული ოცნება – კონსერვატორების“ თავმჯდომარემ, გელა გოლუბიანმა განაცხადა, რომ „ბიუჯეტი ა(ა)იპ -ების დაფინანსებას ვეღარ ახერხებს, „ჩხერიმელას“ დაახლოებით სამმაგი დაფინანსება სჭირდება, ვიდრე განსაზღვრული ჰქონდა. ამ დროს კი, დაუფინანსებელი გვრჩება ისეთი ორგანიზაციები, რომლებიც, მაგალითად, მომავალი თაობების აღზრდაზე არიან პასუხისმგებელნი.“

ვარლამ ჭიპაშვილმა საკითხთან დაკავშირებით აღნიშნა: „ბატონო გელა, თქვენი მხრიდან ხშირად ისმის ა(ა)იპ-ების დაფინანსებაში ბიუჯეტის დიდი ნაწილი მიდისო, როცა მათ ლიკვიდაციასა და რეორგანიზაციაზე მიდის საუბარი ესეც არ მოგწონთ. მხოლოდ კრიტიკა ისმის თქვენგან და არაფერი სხვა. შესაძლოა, ჩვენ საფეხბურთო კლუბ „ჩხერიმელას“ გაუქმებაზეც ვიმსჯელოთ, მაგრამ მთავარი ისაა, რომ პრიორიტეტები სწორად შევარჩიოთ. ა(ა)იპ-ებში ბევრი ადამიანია დასაქმებული. იმ შემთხვევაში, თუ ვერ მოვახერხებთ მათ დაფინანსებას, რეორგანიზაცია გარდაუვალი იქნება.“

ბიუროს წევრებმა სხდომაზე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2016 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებაც იმსჯელეს. 2016 წლის ბიუჯეტი 6 მილიონ 607 ათასი ლარით განისაზღვრა. აქედან 1 მილიონ 230 ათას ლარს გადასახადები წარმოადგენს, 4 მილიონ 192 ათასი ლარი ტრანსფერია, სხვა შემოსავლები კი - 1 მილიონ 165 ათას ლარს შეადგენს.

წარმოდგენილი საბუჯეტო ცვლილება დეპუტატების უმრავლესობის მიერ 20 ნოემბრის საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე მიღებულ იქნა.

მარიანა ბურჯალიანი

„ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ ხარაგაულის საოლქო ორგანიზაციის თავმჯდომარედ მანანა ბარბაქაძე აირჩიეს

19 ნოემბერს ხარაგაულში პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ საოლქო კონფერენცია გაიმართა. კონფერენციას პოლიტიკური პარტიის გენერალური მდივანი, კახა კალაძე, აღმასრულებელი მდივანი, ირაკლი კობახიძე და იმერეთის სახელმწიფო-რწმუნებულის გუბერნატორის პირველი მოადგილე, პაატა ნადირაძე ესწრებოდნენ. ღია კენჭისყრის დაიწყებამდე იმერეთის ვიცეგუბერნატორმა დარბაზში შეკრებილ აუდიტორიას ხარაგაულში განხორციელებულ პროექტებზე საკუთარი ხედვა წარუდგინა: „ხარაგაული მართლაც, რომ ერთ-ერთი გამორჩეული მუნიციპალიტეტია, თქვენ გაქვთ ახალი ამბულატორია, მშენებლობის პროცესშია ახალი საავადმყოფო, გაქვთ ახალი ინფრასტრქუტურა და მოასფალტებული გზები ისეთ სოფლებში, სადაც გზა არასდროს ყოფილა, გაქვთ 8 ახალი საბავშვო ბაღი მაღალმთიან სოფლებში, წყლის ახალი სისტემა, ეს იმ მასშტაბური პროექტების მცირედი ჩამონათვალია, რომელიც ხარაგაულში ბოლო დროს განხორციელდა. მინდა მადლობა ვუთხრა მუნიციპალიტეტის გამგებელს, კობა ლურსმანაშვილს და ადგილობრივ თვითმმართველობას. ჩვენ ნინ მივდივართ და მადლობა ამისთვის თითოეულ ხარაგაულელს“.

ხარაგაულის კინოთეატრში გამართულ საოლქო კონფერენციას პავლე თავზარაშვილი უძღვებოდა. დარბაზში იმყოფებოდნენ პოლიტიკური გაერთიანების დელეგატები და სხვა მოწვეული სტუმრები.

კონფერენციაზე ღია კენჭისყრის შედეგად პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ ხარაგაულის საოლქო ორგანიზაციის თავმჯდომარედ, დელეგატებმა მანანა ბარბაქაძე ერთხმად აირჩიეს, ხოლო ბიუროს წევრებად პაატა გოგოლაძე, გივი თხელიძე, ჯამბულ გამცემლიძე, შალვა ლურსმანაშვილი და დავით კიკნაძე დაასახელეს.

პარტიის ყრილობის დელეგატებად დასახელდნენ კობა ლურსმანაშვილი, პაატა გოგოლაძე, მანანა ბარბაქაძე, ვარლამ თავზარაშვილი, ჯამბულ გამცემლიძე, ვარლამ ჭიპაშვილი და პავლე თავზარაშვილი. ყრილობის წევრები ღია კენჭისყრით ერთხმად აირჩიეს.

ნაჩაბაშვილი C ჰეპატიტისა და შიდსის უფასო სკრინინგი ოჩი ღლის ბანქავლოვაში ქიმდინარეობდა

საქართველოში C ჰეპატიტის ვირუსის საწინააღმდეგო ანტისხეულების განსაზღვრის მიზნით მოქალაქეთა სკრინინგული კვლევები გრძელდება. კვლევებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი ახორციელებს.

პროექტი მთელი ქვეყნის მასშტაბით მიმდინარეობს. კვლევები უფასოა და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ლაბორატორიებში ტარდება.

17 ნოემბერს აქციის ფარგლებში, ხარაგაულის მუნიციპალიტეტს ქუთაისის დაავადებათა კონტროლის ლაბორატორიის მობილური ჯგუფი მეორედ ეწვია. ამჯერად C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის ფარგლებში, ხარაგაულელთა გამოკვლევა ორი დღე გაგრძელდა. დაავადებათა კონტროლის ქუთაისის ფილიალის დირექტორის, გოჩა გიორგიძის ინფორმაციით, C ჰეპატიტთან ერთად ხარაგაულის მოსახლეობას საშუალება აქვს, უფასო გამოკვლევა ჩაუტარონ აივ-ინფექციის (შიდსის) დასადგენად. სკრინინგის ჩატარება როგორც C ჰეპატიტზე, ასევე აივ-ინფექციაზე კონფიდენციალობის ყველა წესის დაცვით ხდება.

გოჩა გიორგიძე - დაავადებათა კონტროლის ქუთაისის ფილიალის დირექტორი: „პაციენტებს დადებითი პასუხის შემთხვევაში კონსულტაციებს ვუტარებთ, ვუხსნით, რას ნიშნავს იყო ამ დაავადების მატარებელი. ვაძლევთ მითითებებს, რომელ დაწესებულებებში უნდა ჩაიტარონ გამოკვლევები, ვიდრე უშუალოდ მკურნალობის პროცესში ჩაერთვებიან. მკურნალობის პროცესი არის უფასო. მოგეხსენებათ პრეპარატი საკმაოდ ძვირადღირებულია. ამ ეტაპზე C ჰეპატიტის და აივ-ინფექციის (შიდსის) უფასო სკრინინგი მთელს იმერეთს მოიცავს.“

შმაგი ხიჯაკაძე - ხარაგაულის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორი: „ხარაგაულში C ჰეპატიტისა და აივ-ინფექციის უფასო სკრინინგი დღეს დილიდან დაიწყო. ეს არის სწრაფი, მარტივი მეთოდით დიაგნოზის დადგენა. პროგრამა ორდღიანი იყო და იგი ხარაგაულში 18 ნოემბერს, საღამოს 5 საათზე დასრულდა. აქციასთან დაკავშირებით ინფორმირებული გვყავდა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულები, საჯარო სკოლები. აქტივობა ნამდვილად შეინიშნებოდა. გამოკვლევები მოსახლეობის სურვილისამებრ მიმდინარეობდა. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ერთი ანალიზით, ორი დაავადების დიაგნოზის დადგენა ხდება“.

თამარ მაღრაძე - ხარაგაულის N2 საჯარო სკოლის ფრანგული ენის პედაგოგი:

„ეს არის უპრეცედენტო შემთხვევა. მჯერა, რომ პროგრამა წარმატებით განხორციელდება. ეს ჩვენი ხელისუფლების ერთ-ერთი უდიდესი მიღწევაა. ორივე დაავადება სიცოცხლისათვის საშიშია. მთავარია ის, რომ პრეპარატი, რომლითაც მკურნალობა ხდება კლავს ამ ვირუსს და ადამიანები იკურნებიან. ძვირადღირებული პრეპარატი კი, სახელმწიფოს დახმარებით უფასოა. ვიცი, რომ ვინც მკურნალობის ეტაპები გაირა სრულად განიკურნა. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, როგორც ჩვენთვის, ასევე ჩვენი ქვეყნისთვის.“

თამარ მაღრაძე

2016 წლის ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვა დაიწყო

ხარაგაულის 2016 წლის ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვა მუნიციპალიტეტში ზონალურად მიმდინარეობს. განხილვას გამგებლის წარმომადგენლები ადმინისტრაციულ ერთეულებში, დეპუტატები და სხვა დაინტერესებული პირები ესწრებიან.

რას ნიშნავს ბიუჯეტი, რისგან შედგება იგი, რა პრიორიტეტებია 2016 წლისთვის განსაზღვრული, რომელი პრობლემის მოგვარებას გეგმავს ადგილობრივი ხელისუფლება მომავალ წელს, ამ საკითხებზე ხევისა და მოლითის ზონის მოსახლეობას ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი, ვლადიმერ გელაშვილი და საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ვარლამ ჭიპაშვილი ესაუბრნენ.

ვლადიმერ გელაშვილის განმარტებით, „ხარაგაული შემოსავლების კუთხით ერთ-ერთი ყველაზე დაბალშემოსავლიანი მუნიციპალიტეტია. 2016 წელს შემოსავლები 6 მილიონ 607 100 ლარით განისაზღვრა. ფიზიკური პირის საშემოსავლო გადასახადმა ადგილობრივ ბიუჯეტში, წელს პირველად ჰპოვა ასახვა და ის 280 000 ლარს შეადგენს. რაც შეეხება იურიდიულ პირებს, საშემოსავლო გადასახადი 950 000 ლარით განისაზღვრა. სახელმწიფო ბიუჯეტიდან 4 მილიონ 194 100 ლარის დაფინანსებას ვღებულობთ. ყველაზე დიდი შემოსავალი კი, ჯარიმებიდან გვაქვს“ - აღნიშნა შეხვედრაზე გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა.

საზოგადოებას მაქსიმალური აქტივობისკენ მოუწოდა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, ვარლამ ჭიპაშვილმა: „ჩვენი შეხვედრის მიზანი გახლავთ ის, რომ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტი გამჭვირვალე გახდეს. გვინდა, რომ საზოგადოების აზრი მაქსიმალურად იქნეს გათვალისწინებული, რა თქმა უნდა შესაძლებლობის ფარგლებში. გვინდა მოსახლეობამ იცოდეს, რომელ მუხლში რა თანხაა გამოყოფილი და ასევე გავითვალისწინოთ მათი შენიშვნები. ამ შეხვედრიდან დაახლოებით ერთი კვირის განმავლობაში დაინტერესებულ პირებს ექნებათ საშუალება, წერილობით მოგვაწოდონ გარკვეული შენიშვნები და მოსაზრებები ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 25% იქნება გათვალისწინებული ხელფასებში, 75% იქნება დახარჯული სხვადასხვა მიმართულებებში, იქნება ეს კულტურული, სოციალური, ინფრასტრუქტურული თუ სხვა პრიორიტეტების თვალსაზრისით“ - განმარტა ვარლამ ჭიპაშვილმა.

რაც შეეხება ხარჯვით ნაწილს, 2016 წლის ძირითადი პრიორიტეტებია: სოციალური პროგრამები - 652 000 ლარი; სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა-526 000ლარი; ინფრასტრუქტურა და მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოტაცია - 1 მილიონ 182 000 ლარი; მთლიანობაში ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის გამოყოფილი იქნება - 450 000 ლარი; აღნიშნული დაფინანსებების მოცულობა გაიზრდება რეგიონალური განვითარების ფონდიდან დაფინანსებული პროგრამების (3 მილიონი ლარი) და „სოფლის მხარდამჭერი პროგრამების (770 000 ლარი) დაფინანსების შემდეგ.

2016 წლის ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვები გაგრძელდება და იგი თითქმის ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში მოეწყობა.

მარიანა ბურჯალიანი

ბორის საჯარო სკოლა-პანსიონის მოსწავლეებს თემაზე - "ნაადრევი ქორწინება" ტრენინგი ჩაუტარდათ

ბორის საჯარო სკოლა-პანსიონში გამგებლის მრჩეველმა გენდერული თანასწორობის საკითხებში, ინგა ბერაძემ, სკოლის IX-XII კლასის მოსწავლეებისთვის თემაზე "ნაადრევი ქორწინება" ტრენინგი ჩაატარა. მოსწავლეებმა ნაადრევი ქორწინების გამომწვევ მიზეზებზე იმსჯელეს და მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები შეაფასეს. პრეზენტატორმა ახალგაზრდებს ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდა თემებზე - რა განაპირობებს ადრეულ ასაკში ოჯახის შექმნას, როგორ რეგულირდება კანონით ნაადრევი ქორწინება და რა გამონაკლისები არსებობს. ტრენერის განმარტებით, ნაადრევი ქორწინების საკითხი დღევანდელი ახალგაზრდებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია. აუცილებელია, ბავშვებს ჰქონდეთ წარმოდგენა იმ შედეგებსა და საფრთხეებზე, რომლებიც შეიძლება მოჰყვეს ნაადრევ ქორწინებას.

„მოგეხსენებათ, ნაადრევი ქორწინების გამომწვევი მიზეზები არაერთგვაროვანია: მიზეზები განსხვავდება რელიგიის, ეთნიკური წარმომავლობისა და რეგიონების მიხედვით. ეთნიკური და რელიგიური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში, ერთი მხრივ, ტრადიციები და პატრიარქალული ღირებულებები და, მეორე მხრივ, განათლების ნაკლებობა და სიღარიბე წარმოადგენს ნაადრევი ქორწინების მთავარ განმაპირობებელ ფაქტორებს. ჩვენ არ ვცხოვრობთ იმ ტიპის რეგიონში, სადაც ნაადრევ ქორწინებას ასეთი ფაქტორები განსაზღვრავს, თუმცა ნაადრევი ქორწინების შემთხვევები ჩვენთანაც ხშირია. უმრავლეს შემთხვევაში გოგონა თხოვდება იმის გამო, რომ თავი დააღწიოს სოციალურ მდგომარეობას, თუმცა ის ახალი რეალობა, რომელშიც ის ხვდება, სულაც არ არის მისთვის სასიკეთო. ვფიქრობ, რომ ბავშვები ინტერესით უსმენდნენ დღევანდელ ტრენინგს. ისინი არ იყვნენ ინფორმირებული თუნდაც იმ კანონმდებლობის შესახებ, რომელიც საქართველოში ნაადრევ ქორწინებას არეგულირებს, არ ჰქონდათ ინფორმაცია იმაზე, რომ კანონით მშობლები, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ შვილების განათლებას და ხელს უწყობენ გოგონების ადრეულ ქორწინებას, პასუხისმგებელნი არიან კანონის წინაშე. ჩვენ ერთად ვიმსჯელეთ, რომ საქართველოში, ამ სახის კანონდარღვევის შემთხვევაშიც კი, ოჯახის საქმეებში ჩარევა ხშირად არ ითვლება მიზანშეწონილად. საზოგადოების ასეთი მენტალობა და შეხედულებების მხარდაჭერა უარყოფითად აისახება გოგონების მომავალზე.

იმ ასაკში, რომელშიც ახლა ეს ბავშვები იმყოფებიან, ძალიან მნიშვნელოვანია, ვინმე მათ ამ თემაზე ესაუბროს. ტრენინგის დასრულების შემდეგ ბავშვებში დისკუსია არ ცხრებოდა, ანუ გაჩნდა მსჯელობის სურვილი, რაც, ვფიქრობ, შეხვედრის ლოგიკური გაგრძელება იყო და მაფიქრებინებს, რომ დღევანდელი ტრენინგი შედგა“ - აღნიშნა ჩვენთან საუბარში ინგა ბერაძემ.

ტრენინგთან დაკავშირებით მოსწავლეებმა გამოთქვეს თავიანთი აზრი და აღნიშნეს, რომ მათთვის სწორედ ამ ასაკშია მნიშვნელოვანი მსგავსი თემების განხილვა.

„თემა იყო საკმაოდ საინტერესო და მორგებული ჩვენი ასაკისათვის, მივიღეთ ჩვენთვის აქამდე უცნობ საკითხებზე ინფორმაცია, გავიაზრეთ, რომ ყოველი ჩვენი ქმედება აისახება ჩვენს მომავალზე და გონივრულად უნდა განვსაზღვროთ ჩვენი თითოეული ნაბიჯი. პრეზენტაციაში ყველა აქტიურად ვიყავით ჩართულები და მოგვეცა საშუალება, დაგვეფიქსირებინა ჩვენი მოსაზრება ამ თემასთან დაკავშირებით. მინდა, თითოეული ჩემი თანატოლის სახელით დიდი მადლობა გადავუხადო ქალბატონ ინგა ბერაძეს, თემის პრეზენტაციისა და ჩვენთან შეხვედრისათვის“- აღნიშნა ბორის საჯარო სკოლა-პანსიონის მე-11 კლასის მოსწავლე ლანა ღონღაძემ.

ტრენინგი ბორის სკოლა-პანსიონის დირექტორის, ჰამლეტ ბერაძის, უშუალო თხოვნით ჩატარდა. ტრენინგის მონაწილეები, გენდერული თანასწორობის საკითხებში გამგებლის მრჩეველის, ინგა ბერაძის თხოვნით, ნაადრევ ქორწინებასთან დაკავშირებით ვიდეო რგოლს მოამზადებენ.

მარიანა ბურჯალიანი

ხარაგაულში დღემდე უცნობი ტურისტული მარშრუტების კვლევა მიმდინარეობს

„ჩვენ იმერეთში ბუნებრივი ძეგლების შესწავლასა და მათ პოპულარიზაციაზე ვმუშაობთ. ბუნებრივი ღირსშესანიშნაობების კვლევა ხარაგაულიდან დავიწყეთ. „ცაშეკრულის კანიონი“, „დევის ხვრელი“, „ჩხერის ციხე“, ხუროთმოძღვრების ძეგლი „კახორი“, „ბერების კლდე“ ნუნისში, მარტო სოფელი ფარცხნალი რად ღირს ხარაგაულისთვის, სოფელი, სადაც ყველაზე მეტი მეცნიერ-პროფესორი და აკადემიკოსი დაიბადა და სოფელი, რომელიც ამის გამო შეიძლება მალე გინესის რეკორდების წიგნში შევიდეს. ასევე მნიშვნელოვანია, დღევანდელი დღის აღმოჩენა „ოხრას“ მღვიმე, რომელც სოფელ ხიდარში მდებარეობს. ეს ის მცირედი ჩამონათვალია, რომელიც ხარაგაულის ტურისტული მარშრუტების რუკაზე დაიტანება “ - აღნიშნა ხარაგაულში სტუმრობისას გეოგრაფიის დოქტორმა, პროფესორმა და თსუ-ს ასისტენტმა, გიორგი დვალაშვილმა. პროექტი, რომელიც რიონის აუზის შესწავლას ეხება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამარჯვებულად გამოცხადდა. გიორგი დვალაშვილი აქტიურად თანამშრომლობს ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრთან და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის განვითარებისა და შიდა ტურიზმის სამსახურთან. „ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ჩატარებული კვლევების დროს ჩვენ რამდენიმე საინტერესო ობიექტი გამოვავლინეთ. არის ჩანჩქერები, ტბები, მღვიმეები, არაერთი ბუნებრივი ძეგლი, რომელიც აქ ჩამოსულ ვიზიტორს დააინტერესებს“- აღნიშნავს გიორგი დვალიშვილი.

პროექტის ფარგლებში ხარაგაულზე სპეციალური რუკა გაკეთდება, რომელზეც გამოსახული იქნება ყველა ღირსშესანიშნავი ადგილი. გიორგი დვალაშვილი ხარაგაულში, გამგებლის პირველ მოადგილეს პაატა გოგოლაძეს, გამგებლის წარმომადგენლებს ადმინისტრაციულ ერთეულებში და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის განვითარებისა და შიდა ტურიზმის სამსახურის თანამშრომლებს შეხვდა და პროექტის შესახებ ესაუბრა. „დღევანდელი სამუშაო შეხვედრის შემდეგ, ჩვენ ზოგიერთი ტოპონიმი დავაზუსტეთ. ხშირად რუკაზე აღნიშნული დეტალები არ არის ზუსტი. მათ შორის მდინარეების სახელები. მინდა გითხრათ, რომ ტოპონიმების დაზუსტების შემდეგ რუკა ხარაგაულზე უკვე სრულყოფილი იქნება. მასზე დატანილი იქნება მარკირებული ტურისტული მარშრუტები. მოხდება მარშრუტის ზუსტი დაფიქსირება, მარკირება მოხდება ადგილზე. პროექტის მთავარი ნაწილი არის საზოგადოების აქტიურობა. ჩვენ გვაქვს სოციალურ ქსელში გვერდი სახელწოდებით - „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბუნებრივი ღირსშესანიშნაობები“. კარგი იქნება სკოლების ჩართულობა პროექტის განხორციელებაში. გვინდა, რომ იმ ბუნებრივ ძეგლებს, რაც გვაქვს, სკოლის მოსწავლეები გაეცნონ. „ცაშეკრულის კანიონი“ ხარაგაულის შემოსასვლელში, დევების მიმდებარე ტერიტორიაზე, არაჩვეულებრივად ლამაზია, ბევრმა ხარაგაულელემაც კი არ იცის ამის შესახებ, ამიტომ აუცილებელია იქ მარკირება ადგილზე მოხდეს“ - აღნიშნა სამუშაო შეხვედრაზე გიორგი დვალაშვილმა“.

მნიშვნელოვანია, რომ დაიბეჭდება ბუკლეტები ხარაგაულზე, რომლებიც პირველ ეტაპზე იქნება მხოლოდ ქართულ ენაზე, ხოლო მომავალში დაიბეჭდება ბუკლეტის რუსული და ინგლისური ვერსიები, რომელიც 2016 წლის გაზაფხულზე პოლონეთში, საგამოფენო სივრცეში განთავსდება რუკის სახით. პროექტის ფარგლებში იგეგმება კონკურსის ჩატარება, რომლის ფარგლებშიც გამოიკითხებიან მოსწავლეები. რომელ ძეგლს ანიჭებენ ისინი უპირატესობას, რომელ დღესასწაულს და ა.შ. როგორც გიორგი დვალაშვილი ამბობს საქართველოს სოფლების შესწავლის დროს უკვე 15 წელია იყენებენ კითხვარებს მოსახლეობაში, რომლებიც ობიექტების შეფასების მიზნით არის შედგენილი. ასეთი კითხვარებით რამდენიმე წიგნი დაიბეჭდა. იმედს გამოთქვამენ, რომ ასეთი სრულყოფილი მასალა ხარაგაულსაც ექნება.

„ხარაგაული ძალიან საინტერესო რეგიონია და ბუნებრივი ღირსშენიშნაობებით მდიდარია. რუკა და წიგნი ხარაგაულზე მალე დასრულდება. წიგნის სახელწოდება იქნება „იმერეთის ბუნებრივი ღირსშესანიშნაობები“ რომელშიც 11 მუნიციპალიტეტთან ერთად ხარაგაულიც იქნება“.- დასძენს გიორგი დვალაშვილი.

თეა ბერიძე

მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის ა ნ გ ა რ ი შ ი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახური თავის ყოველდღიურ საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს კოდექსით „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ,“ გამგეობის და ადმინისტრაციული სამსახურის დებულებით და სხვა ადმინისტრაციული აქტებით.

გამგეობის საშტატო ნუსხა განსაზღვრულია 132 ერთეულით, საიდანაც დასაქმებულია 126, ვაკანტურია 6 და 9 მუშაკი აყვანილია შრომითი ხელშეკრულებით.

ყველა მუშაკი დანიშნულია საკონკურსო-საატესტაციო კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე.

ადმინისტრაციული სამსახური დაყოფილია: საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების, იურიდიულ და წარმომადგენლებთან კოორდინირების განყოფილებებად, ასევე ადმინისტრაციულ ერთეულში შემოდიან მრჩევლები გენდერულ და სოფლის მეურნეობის საკითხებში და მიმაჩნია, რომ მათი მუშაობა პასუხობს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

2015 წლის იანვრიდან ჩართული ვართ ელექტრონულ საქმისწარმოებაში, რომელიც წარმატებულად მიმდინარეობს. დღემდე შემოსულია 5509 კორესპოდენცია და მათზე პასუხის გაცემა ხორციელდება შესაბამის ვადაში, დარღვევას ადგილი არ ქონია.

ამ პერიოდისათვის გამოცემულია 1397 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. მიმდინარე წელს ინტერნეტ სივრცეში შევქმენით მუნიციპალიტეტის გამგეობის ვებგვერდი, რომელზეც დატანილია ინფორმაცია ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის, საკრებულოს, ა(ა)იპ -ებისა და სხვადასხვა ორგანიზაციების შესახებ.

იდეაშია ვებ გვერდის www.kharagauli.ge რებრედინგი და ვფიქრობთ, ჩვენი აქტიური მუშაობის შედეგად მომავალ წელს საზოგადოება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ვებ გვერდს ახლი და კიდევ უფრო საინტერესო ფორმით იხილავს.

ადმინისტრაციული სამსახური საზოგადოებასთან ურთიერთობის კუთხით ამზადებს ინფორმაციებს მუნიციპალიტეტის ვებ-პორტალზე განსათავსებლად.

ვებგვერდისა და ფეისბუქ გვერდის მეშვეობით ახდენს მოსახლეობის ინფორმირებას მუნიციპალიტეტში მიმდინარე პოლიტიკურ, ინფრასტრუქტურულ, სოციალური - კულტურულ, სპორტულ თუ სხვა სახის ღონისძიების შესახებ. ზრუნას საზოგადოების სისტემატურ ინფორმირებაზე მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობასთან და სამომავლო პერსპექტივებთან დაკავშირებით.

აშუქებს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის და საკრებულოს, სამსახურების, არასამეწარმეო-არაკომერციულ იურიდიულ პირების, მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების და სხვადასხვა ორგანიზაციის საქმიანობას. ასაჯაროებს „სოფლის

მხარდამჭერი პროგრამის“ ფარგლებში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფლებში განხორციელებულ და განსახორციელებელ პროექტებს. ვმონაწილეობთ ხარაგაულში დაგეგმილი ოფიციალური და მასშტაბური ღონისძიებების ორგანიზებაში, ვამზადებთ პრესრელიზს. ვაწვდით ინფორმაციებს სხვადასხვა მედია-საშუალებებს, მათ შორის ცენტრალურ და რეგიონულ ტელევიზიებს. აქტიურად ვთანამშრომლობთ იმრეთის სამხარეო ადმინისტრაციასთან და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ფეისბუქ გვერდზე ვაზიარებთ იმერეთის მასშტაბით მიმდინარე პროექტებს.

ჩვენ ვებ-გვერდს ამ დროისათვის აქვს 205 954 ნახვა. აქედან უნიკალური ვიზიტორი 10 554 -ია . ერთი თვის საშუალო ნახვები სტატისტიკური მონაცემებით 28 865 -ია. მათ შორის ერთ თვეში ვებ გვერდს 3 908 უნიკალური ვიზიტორი ჰყავდა.

წარმომადგენლებთან კოორდინირების განყოფილება აქტიურად მონაწილეობს და კონტროლს უწევს სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში მიმდინარე სამუშაოებს,ა სევე კონსულტაციებს უწევს ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლებსა და სპეციალისტებს მათთვის საჭირო სხვადასხვა საკითხზე, კონტროლზე აქვთ აღებული ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ერთეულებში არსებული მოსახლეობის მიწების მიღება-ჩაბარების აქტები, რადგან ეს პროცესი ექვემდებარება სახელმწიფო არქივში ჩაბარებას.

იურიდიული განყოფილების მიერ სტრუქტურული ერთეულების თანამშრომლებზე ა(ა)ი.პ-ის და შ.პ.ს-ს ხელმძღვანელებზე რეგულარულად მიმდინარეობს სამართლებრივი კონსულტაციები სამსახურებრივ საკითხებთან დაკავშირებით.

საანგარიშო წლის განმავლობაში მომზადდა მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანების, მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებების და განკარგულების, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმის, ასევე მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამწარმეო არაკომერციული იურიდიული პირის წესდებებში ცვლილებების შეტანის შესახებ სამართლებრივი აქტის და წესდების პროექტები, შესაგებლები და სარჩელები როგორც ადმინისტრაციულ ასევე სამოქალაქო საქმეებზე.

როგორც აღვნიშნეთ, ადმინისტრაციული სამსახური მოიცავს მრჩევლებს სოფლის მეურნეობისა და გენდერულ საკითხებში. შესაბამისად, ამ კუთხითაც გვაქვს მუშაობა გაწეული. სოფლის მეურნეობის დარგში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დანერგვის მიზნით შესწავლილ იქნა ნიადაგის მდგომარეობა და შესაბამისად გაიცა რეკომენდაციები. საკმაოდ წარმატებულად დაიწყო „ბიორაგის“ გამოყენების ექსპერიმენტი, ჩამოყალიბების პროცესშია 7 სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, მეაბრეშუმეობის განვითარების მიზნით კი შევიძინეთ 25 ჰა მიწის ნაკვეთი. ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა ლაბორატორიული სადგურის დასამონტაჟებლად, რომელიც შეისწავლის ჰაერის დაბინძურების საკითხს.

გამგეობა ხშირად გეგმავს სხვადასხვა სოციალური ხასიათის ღონისძიებას.

აქტიურადაა ჩართული მარტოხელა დედების პრობლემების გადაწყვეტაში.

რაც შეეხება ბიუჯეტს, სოციალურ პროგრამებში გათვალისწინებულია გარკვეული თანხა სკრინინგ-პროგრამის ხელშეწყობისათვის და მასში მოქალაქეთა მონაწილეობის გაზრდისათვის, რომელიც წლის ბოლომდე განხორციელდება.

კახაბერ გოლუბიანი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი

„ფოთოლები, ფოთოლები, ცხრილოლი ფოთოლები...“

თითქოს გვიანი შემოდგომის ქარიან-ღრუბლიანი დღეა. ხეებს ფოთლები სცვივა და ეფინება ირგვლივ, რა საბრალოა ყვითელი ფოთოლი, რომელმაც უკვე დაასრულა თავისი სიცოცხლე, რა საბრალოა ხე, რომელსაც სამოსი შემოეცალა... შესცივდება, კიდევ უფრო შესცივდება, როცა დედამიწა „ზამთრის საბანს დაიხურავს.„ ეს კი მალე, ძალიან მალე მოხდება...

ახლა კი ძირს ათასფერად მოხატულ ხალიჩასავით დაფენილ ფოთლებს მოვეფეროთ, მივესიყვარულოთ და ხვავ-ბარაქით დატვირთული შემოდგომაც გავაცილოთ,- ჭიკჭიკებენ მეოთხეკლასელი ანცი გოგო-ბიჭები (მესამე საჯარო სკოლა. დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ნანა კვინიკაძე, დამრიგებელი თამარ სხილაძე).

და გექმნება შთაბეჭდილება, რომ შემოდგომის ეს ულამაზესი ფერები, ათასგვარი ხილი, ბოსტნეულ-ბაღჩეული სასკოლო ოთახში კი არა, გარეთ, ბუნების ჩვეულებრივ სივრცეშია...

ყველაზე მთავარი კი ისაა, რომ ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია „ფოთლები, ფოთლები, საბრალო ფოთლები...„ ძალზე მიგნებულად, გათავისებულად, სიღრმისეული წვდომით წარმოადგინეს მოსწავლეებმა.

ვისი სმენითი მეხსიერებიდან ამოიშლება ის სიტკბო, რაც ნატალი ბუაჩიძისა და ანასტასია ხარაძის მიერ შესრულებული მელოდიებით ("შემოდგომის ყვავილებს" და "ყვითელი ფოთლები") განვიცადეთ.

სასიხარულოა, რომ მათ წელს ორი ახალი მოსწავლე, გიორგი ბერაძე და არჩილ იოსებაშვილი, შემოუერთდა.

„მასპინძლებმა„ დიდი სიყვარული გამოავლინეს მათ მიმართ და წამითაც არ გრძნობენ, რომ გიორგი და არჩილთან ერთად არ მოდიან პირველი კლასის პირველი გაკვეთილიდანვე. აქ კი ცხადად იკვეთება თამარ მასწავლებლის ტაქტი, უნარი, რომლითაც მან სიყვარულის გრძნობა გააძლიერა მოსწავლეებში.

და როცა სიყვარულის დიდი ძალით ასაზრდოებ შენს მოსწავლეს, სრულიად აღარაა გასაკვირი, რომ მას ფოთოლიც შეებრალოს, შეებრალოს უკვე დაკარგული სიცოცხლის გამო...

ეს უმთავრესი აზრი გასდევდა მთლიანად ამ ულამაზეს ჩანაფიქრს, ამ ულამაზეს სანახაობას, რომელიც თამარ მასწავლებლის მოსწავლეებმა წარმოადგინეს.

„ნეტავ ფოთოლი რამ ჩამოაგდო?
არც ქარი იყო, არც წვიმა, თქეში...
უბრალოდ, ფოთოლს დღე დაელია
და გვეჩვენება, რომ წუხს, რომ ხვნეშის...„

ფოთლებისადმი, გაძარცვული ხეებისადმი სიბრალულს გამოხატავენ: გიორგი ბერაძე და გიორგი ვარდოსანიძე, ნატალი, რეზი, ქრისტინე, თეკლა, ანასტასია, არჩილი...

მაგრამ სევდას ახლავს იმედი, რომ გაზაფხულზე გაცოცხლდება ბუნება, მწვანე სამოსით დაიბურება ტყე, პატარძლებივით მოირთვებიან შიშველი ხეები...

ფოთოლცვენის ზეიმის დასასრულს კლასის მიერ წარმოდგენილ ღონისძიებას მაღალი შეფასება მისცა დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ქალბატონმა ნანა კვინიკაძემ:

-ყველა ჩვენგანი კმაყოფილებას გამოხატავს ამ მშვენიერი წუთების გამო. თითოეულ მოსწავლეში ჩვენ ვხედავთ მასწავლებლის, თამარ სხილაძის, დიდ შრომას, რუდუნებას. საქმის სიყვარული ყოველთვის კარგი შედეგის მომტანია. მადლიერება მინდა გამოვხატო მასწავლებელთან ერთად, მოსწავლეებისა და მათი მშობლების მიმართ. ერთობლივი მუშაობა მომავალში ამ ბავშვებისგან ბევრ სიამოვნებას განგვაცდევინებს.

პედაგოგებმა: ვენერა კიკნაძემ, მერი გიორგიძემ, მშობელება ხათუნა შარიქაძემ თავიანთ გამოსვლაში გამოხატეს ამ მშვენიერი ჩანაფიქრით მიღებული სასიამოვნო შთაბეჭდილება.

მრავალ ბედნიერ შემოდგომას და ფოთოლცვენას დასწრებოდეთ, მეოთხეკლასელებო, თქვენს ამაგდარ პედაგოგთან და მშობლებთან ერთად!

ეკა შავიძე

ფარცხნაღის გზაზე ბეტონის საფარი დაიგება

ფარცხნალის საავტომობილო გზის რეაბილიტაციის პროექტი გრძელდება. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის, კობა ლურსმანაშვილის ინფორმაციით, სოფელ ფარცხნალში 1კმ და 200 მეტრი სიგრძის გზაზე ბეტონის საფარი დაიგება. გზის სიგანე 4 მეტრი იქნება, ხოლო ბეტონის სისქე - 16სმ. პროექტის ფარგლებში გზაზე მოეწყობა სანიაღვრეები, მილხიდები და ცხაურები. დაგეგმილია ასევე სოფელ ფარცხნალის ცენტრში მდებარე წყაროს მიმდებარე ტერიტორიის მოპირკეთება. შეგახსენებთ, რომ პირველ ეტაპზე ფარცხნალში 2კმ-სა და 300 მეტრზე დაიგო ასფალტის საფარი, ამჟამად გზის რეაბილიტაციის მეორე ეტაპი იწყება. გზის რეაბილიტაცია რეგიონული განვითარების ფონდიდან დაფინანსდება. გზაზე ბეტონის საფარის მოწყობის საპროექტო ღირებულება 250 395 ლარს შეადგენს.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის მიერ 2015 წლის განვლილ პერიოდში გაწეული მუშაობის ა ნ გ ა რ ი შ ი

მოგახსენებთ, რომ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური თავის მუშაობას წარმართავს საქართველოს კანონის ,, სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ " და აღნიშნული კანონის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტისა და 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული ,, სამხედრო აღრიცხვის შესახებ დებულების " შესაბამისად. მ/წ განვლილ პერიოდში მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ერთეულებიდან,სასწავლო დაწესებულებებიდან,ორგანიზაციებიდან და წარმოებებიდან, სამსახურის მოთხოვნის შესაბამისად წარმოდგენილი სიების მიხედვით მოხდა 17 წელს მიღწეული ჭაბუკების აყვანა პირველად სამხედრო აღრიცხვაზე,საერთო ჯამით 131 ჭაბუკის.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 29 იანვრის N 17 დადგენილების საფუძველზე, მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 13 თებერვლის N 4962 ბრძანებით მუნიციპელიტეტის ტერიტორიაზე 2015 წ 2 თებერვლიდან 30 ივნისამდე მუნიციპალიტეტის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურმა ანარმოა მოქალაქეთა სავალდებულო-სამხედრო სამსახურში გაწვევის სამუშაოები.

მუნიციპალიტეტის სამხედრო სამსახურს 2015 წლის საგაზაფხულო გაწვევის პერიოდში სახელმწიფო გეგმა-დავალებით განუსაზღვრა 15 წვევამდელის ჩარიცხვა საქართველოს შეიარაღებული ძალების სხვადასხვა სამხედრო დანაყოფებში.

ჩატარებული მუშაობის შდეგად მოხდა სამხედრო სამსახურის მიერ რაიონულ გამწვევ კომისიაზე 139 წვევამდელის გამოცხადება, რომლიდანაც ცენტრალურ გამწვევ კომისიაზე გაწვევის გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 35 წვევამდელზე.12 წვევამდელი მიღებულ იქნა დაცვის პოლიციის სამსახურში, 46 წვევამდელის დარეგისტრირებული იქნა ეროვნულ გამოცდებზე, 46 წვევამდელმა მიიღო შეღავათი კანონის 30 ე მუხლის მოთხოვნის შესაბამისად. ცენტრალურ გამწვევ კომისიაზე წარდგენილი 35 წვევამდელიდან 17 წვევამდელზე ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო გამოტანილ იქნა სხვადასხვა ხანგრძლივობის განვევიდან გადავადების გადაწყვეტილება. 18 წვევამდელი გაწვეული და ჩარიცხული იქნა საქართველოს შეიარაღებული ძალების სხვადასხვა სამხედრო დანაყოფებში. მუნიციპალიტეტის სამხედრო სამსახურმა საგაზაფხულო გაწვევის პერიოდში უზრუნველყო ნაცვლად გეგმა-დავალებით განსაზღვრული 15 წვევამდელისა , 18 წვევამდელის გაწვევა და მიწოდება ქვეყნის შეიარაღებული ძალებისათვის. რაც გეგმა- დავალების 120% შესრულება უზრუნველყო. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 ივლისის N 379 დადგენილების შესაბამისად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 6 აგვისტოს 2015 წ N 491000 ბრძანების საფუძველზე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2015 წლის 1 აგვისტოდან 31 დეკემბრამდე მიმდინარეობს მოქალაქეთა სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევის სამუშაოები.

მუნიციპალიტეტის სამხედრო სამსახურს 2015 წლის საშემოდგომო გაწვევის პერიოდში სახელმწიფო გეგმა-დავალებით განესაზღვრა 18 წვევამდელის ჩარიცხვა საქართველოს შეიარაღებული ძალების სხვადასხვა სამხედრო დანაყოფში. ჩატარებული მუშაობის შედეგად მუნიციპალიტეტის სამხედრო სამსახურმა საშემოდგომო გაწვევის განვლილ პერიოდში მოახდინა რაიონულ გამწვევ კომისიაზე 125 წვევამდელის გამოცხადება. რომლიდანაც ცენტრალურ გამწვევ კომისიაზე გაწვევის გადაწყვეტილება იქნა მიღებული 38 წვევამდელზე. 5 წვევამდელი მიღებული იქნა დაცვის პოლიციის სამსახურში, 36 ფიქსირდება როგორც სტუდენტი. 46 წვევამდელს მიეცა გაწვევიდან გადავადება კანონის 30-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად. ცენტრალურ გამწვევ კომისიაზე წარდგენილი 38 წვევამდელიდან 18 წვევამდელზე ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო გამოტანილ იქნა სხვადასხვა ხანგრძლივობის გაწვევიდან გადავადების გადაწყვეტილება. 19 წვევამდელი გაწვეული და ჩარიცხული იქნა საქართველოს შეიარაღებული ძალების სხვადასხვა სამხედრო დანაყოფებში. 1 წვევამდელი გაწვეული იქნა არასამხედრო ალტერნატიულ სამსახურში. მუნიციპალიტეტის სამხედრო სამსახურმა საშემოდგომო გაწვევის პერიოდში მიიღო სახელმწიფო გეგმა-დავალების კორექტირება, კერძოდ მ.წ. 8 ნოემბრის მიღებული მითითებით მოეხსნა თავდაცვის სამინისტროს დავალებაში 5 წვევამდელის ჩარიცხვის დავალება და საერთო გეგმა - დავალება დარჩა 13 წვევამდელის ოდენობით. ნაცვლად აღნიშნულისა, სამსახურმა უზრუნველყო 19 წვევამდელის ჩარიცხვა საქართველოს შეიარაღებული ძალების სხვადასხვა სამხედრო დანაყოფში, რაც გეგმა დავალების 146 % შესრულებას აღნიშნავს.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სამხედრო სამსახურის წარმატებული მუშაობა აღნიშნულ იქნა საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს 2015 წლის 10 ივლისის N 01/2293 სამადლობელ წერილში. მუნიციპალიტეტის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური აგრძელებს მუშაობას მის წინაშე დასახული დავალებების წარმატებით შესასრულებლად.

დავით ლომსაძე
სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის უფროსი

„სოფლის მხარდამჭერი პროგრამის" ფარგლებში წიფაში მოსახლეობასთან შეხვედრა გაიმართა

წიფის ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენელმა, მაია გაჩეჩილაძემ, მოსახლეობასთან შეხვედრა გამართა. წიფის, ფონას, გოლათუბნის და გუდათუბნის მოსახლეობამ 2016 წელს, „სოფლის მხარდამჭერი პროგრამის“ ფარგლებში განსახორციელებელ პროექტებზე ისაუბრა. აქაური მაცხოვრებლების მთავარი პრობლემა წყალი და მოსაწესრიგებელი ინფრასტრუქტურაა. მსჯელობის შედეგად მოსახლეობამ გადაწყვიტა, მათთვის გამოყოფილი თანხით შემდეგი პროექტები განახორციელოს. სოფელ გოლათუბანში წყლის მილებია შესაცვლელი, რომლისთვისაც 5 000 ლარი დასჭირდებათ. ასევე აუცილებელია, დაახლოებით, 850 მეტრი სიგრძის გზის გაჭრა, რომელიც სოფელს ცენტრალურ გზასთან აკავშირებს, ამიტომ მისი შეკეთება მოსახლეობისთვის პრორიტეტულია.

ფონას მოსახლეობა სოფელში წყლის ავზის აღდგენასა და წყლის მილების შეძენას ითხოვს, რის შემდეგაც სოფელში წყლის პრობლემა საბოლოოდ მოიხსნება. ფონაში გასულ წელს აშენებული „სოფლის სახლისთვის“ აუცილებელია ასევე ინვენტარის შეძენა, ასაშენებელია საპირფარეშო და შესაყვანია წყალი.

წიფაში მოსახლეობის მხრიდან დაყენებული ერთ-ერთი მთავარი პრობლემა 5 უბნისთვის დაახლოებით 4კმ და 200 მეტრი სიგრძის წყლის მილების შეძენაა. აქაურმა მაცხოვრებლებმა შეხვედრაზე სოფლისთვის სხვა მნიშვნელოვან საკითხებზეც ისაუბრეს. კარგი იქნება, თუ სოფელში არსებული ხიდისა და სტადიონის რეაბილიტაცია მოხდება. წიფაში არის 50 მეტრი სიგრძის გზის მონაკვეთი, რომელიც სასწრაფო შეკეთებას საჭიროებს.

გუდათუბნის (სადგ. წიფის უბანი) მოსახლეობისთვის მთავარი პრობლემა წყლის არქონაა. სოფელს წყლის რეზერვი აქვს თუ გუდათუბნისთვის გამოყოფილი თანხით სოფელში ყოფილი ფერმის წყლის მაგისტრალი აღდგება, დაახლოებით 60-65 ოჯახს მოეხსნება წყლის პრობლემა. სოფლის მოსახლეობა სტადიონის მოწყობაზეც საუბრობს. აუცილებლად მიაჩნიათ ამბულატორიის შენობის შემოღობვა. გუდაძეების უბანში გზის შესაკეთებლად თუ გამოიყოფა თანხები, მოსახლეობა სამუშოების შესრულებაში თანამონაწილეობაზე თანახმაა. შემოსაღობია ასევე გუდათუბნის სასაფლაო.

„სოფლის მხარდამჭერი პროგრამის“ ფარგლებში წიფის ადმინისტრაციულ ერთეულში 2015 წელს, 27 000 ლარი დაიხარჯა.

,,საქართველოს მოხალისეთა“ მორიგი აქტივობა ხარაგაულის მუნიციპალიტეტში

12 ნოემბერს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრის დარბაზში, ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, პროექტ „საქართველოს მოხალისის“ კოორდინატორის, თამარ მაღრაძის ინიციატივით მორიგი აქტივობა განხორციელდა. ამჯერად, ხარაგაულელ მოხალისეებს მხარდაჭერა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მრჩეველმა გენდერული თანასწორობის საკითხებში, ინგა ბერაძემ გაუწია. ქალბატონმა ინგამ „მოხალისეებს“ ტრენინგი თემაზე „გენდერული თანასწორობა“ ჩაუტარა. შეხვედრა საინტერესოდ წარიმართა. პრეზენტაციის მსვლელობაში აქტიურად ჩაერთო დარბაზი. ტრენერმა გენდერულ თანასწორობაზე მსმენელებს ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდა და სახალისო სავარჯიშოებიც შესთავაზა. ტრენინგის ბოლოს ახალგაზრდებმა მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი „The Impossible Dream?“ იხილეს.

ხარაგაულელი მოხალისეები მადლობას უხდიან ქალბატონ ინგა ბერაძეს გაწეული დახმარებისათვის. როგორც პროექტის კოორდინატორებმა ჩვენთან საუბარში აღნიშნეს, თვის ბოლოსათვის იგეგმება მორიგი ტრენინგი სახელწოდებით „შენ შეგიძლია შეაჩერო ეს ჯოჯოხეთი - არა ნარკომანიას“.

მარიანა გურჯალიანი

შენ მარადიული სიცოცხლის უფლება მოიპოვე... (თენგიზ ზუმბაძის ხსოვნას)

ვახსენებ შენს სახელს და სიტყვათა ლაშქარი უწყვეტად მოდის და მოედინება. შენი ამქვეყნიური ყოფის შეფასებისთვის ლამაზი სიტყვების ძიება არ მჭირდება...

ადამიანობის, კაცურკაცობის რესურსი უფლის მიერ უხვად იყო დავანებული იმ უკეთილშობილეს პიროვნებაში, რომელსაც საზოგადოება თენგიზ ზუმბაძის გვარ-სახელით იცნობდა... ამ სახელის მიღმა იყო ზნეობრივად სრულყოფილი პიროვნება, რომელსაც გაჭირვება-განსაცდელიც ბევრი უნახავს და ტკბილი ყოფაც, პიროვნება, რომელიც ნამდვილად იყო გამომწვარ-გამობრძმედილი ცხოვრების ქურაში. თენგიზ ზუმბაძე იყო კაცი, რომელიც არაერთხელ დაფიქრებულა გენიალურ შეგონებაზე:

„მაინც რა არის ჩვენი ყოფა-წუთისოფელი,
თუ არა ოდენ საწყაული აღუვსებელი?“
და პასუხიც იქვე გაუცია:
„ყოველ დღესა შენს თავს ჰკითხო:
აბა, დღესმე ვის რა ვარგე?“
ჩემო თენგიზ!

შენ ამ პრინციპით საზრდოობდი მუდამ, სხვებისთვის სასიკეთოდ გაწვდილი ხელი ძალასა და ღრმა შინაარსობრივ დატვირთვას აძლევდა შენი ცხოვრების ყოველ დღეს, ყოველ წუთს...

წალკოტ-ბაღნარად აქციე მამისეული ეზო -კარი, შენი სამკვირდო ბაზალეთის მაწა. გიორგი ლეონიძის მოხუცი გუთნისდედის მსგავსად ინატრე უკვე სარეცელს მიჯაჭვულმა, თვალებში ჩინწართმეულმა: ეზოში გამიყვანეთ, ვერაფერს დავინახავ, მაგრამ ხელით რომ შევეხები, ვიგრძნობ ყველაფერს...

სიყვარული, ნდობა, ურთიერთპატივისცემა იყო შენი და შენი ღირსეული თანამეცხედრის, ქალბატონ ეთერ ბერაძის, ცხოვრების საზრისი. თქვენი შრომისმოყვარეობითა და სითბოთი ჩადუღაბებულ კერაზე ამოიზარდნენ თქვენი (და არა მარტო თქვენი) საამაყო შვილები: დავით, გიორგი და ვარლამ (ვალერი) ზუმბაძეები, ქართული საზოგადოების ღირსეული წევრები. მათგან მშობლების მიმართ ყურადღება და პატივისცემა ხომ ყოველგვარ ზღვარს სცილდება. ალბათ, სხვაგვარად შეუძლებელიცაა - მაგალითი თქვენგან აქვთ მიღებული. როგორი ზრუნვა-ამაგი დასდეთ ღვთისმმოსავ დედას, ალალმართლობით გამორჩეულ მამას, ავადმყოფ უმცროს ძმას, პავლეს (პაკუნა)...

გულდასერილი ვიყურები წარსულისაკენ... ჩემო თენგიზ, ჩვენი ურთიერთობა ხომ ბავშვობისა და მოსწავლეობის ზღაპრული პერიოდიდან იღებს სათავეს... ჩვენ ხომ თანაკლასელები, მერხის ამხანაგები ვიყავით. მშობლებისა და მასწავლებლებისაგან ზრუნვით გარემოცულნი, ნაკლებად ვფიქრობდით მომავალი ყოფის სირთულეებზე... ვიგონებ ოცდათექვსმეტმოსწავლიან კოლექტივს, ადრე ჩამქრალ ლამაზ სიცოცხლეებს და ცრემლებით ინამება საწერი ფურცლები...

შემხვდებოდი თუ არა, მაშინვე მათემატიკის დავალებასა და „ბორა ვაშლებს“ გამახსენებდი...

პატიებას ვთხოვ შენი ხსოვნის პატივისმცემელთ, თუ ზედმეტად არ ჩამითვლიან ამ ტკბილ მოგონებას.

მათემატიკას ყველასათვის საყვარელი პედაგოგი, გოგი კალანდაძე, გვასწავლიდა. თენგიზი საოჯახო შრომით დაღლილი მოდიოდა სკოლაში. შეგვეხვეწებოდა გოგონებს, რომ მათემატიკის დავალება დაგვეწერა მისთვის, თვითონ თავის „ამქართან“ ერთად სკოლის ეზოს მიაშურებდა ფეხბურთის სათამაშოდ. ჩვენ კი „გასამრჯელოდ“ ე.წ. „ბორა ვაშლებს“ გვთავაზობდა. ერთხელაც გაოფლილ-გაღვითქული შემოვიდა გაკვეთილზე. გემრიელი ვაშლის ჭამით გართულებმა დავალება ვერ დავუწერეთ და რვეული ისე შევაცურეთ მის ჩანთაში...

გოგი მასწავლებელი მერხებს შორის ჩამოვლით ამოწმებს დავალებებს... თენგიზმა გულდამშვიდებულმა ამოიღო და გადაუშალა რვეული...

-გარეთ! - უბრძანა გოგი მასწავლებელმა. კარებისაკენ უხმოდ წასულმა თენგიზმა ერთი კი მოიხედა და მოგვაძახა: „ცეცხლს გაჭმევთ, აწი!“

თუმც მეორე დღეს კიდევ უფრო დიდი ვაშლები მოგვიტანა და სხვა სასუსნავიც მოაყოლა...

* * *

იძინე მშვიდად, არაფერმა შეაშფოთოს შენი წმინდა სული. ხანმოკლე ფიზიკურმა არსებობამ გზა დაუთმო მარადიულ სიცოცხლეს, რომლის უფლებაც ნამდვილად მოიპოვე, ჩვენო კეთილო მეგობარო, ჩვენო თენგიზ!

N2 საშუალო სკოლის 1956-57 სასწავლო წლის კურსდამთავრებულთა სახელით -
მერი გიორგიძე

ტურიზმის სამსახურის მორიგი აქტივობა „ცაშეკრულის კანიონში“

8 ნოემბერს ხარაგაულის მუნიციპალიტეტში „ცაშეკრულის კანიონში“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის განვითარებისა და შიდა ტურიზმის სამსახურის ორგანიზებით მორიგი ტურ-თამაშები ჩატარდა. ამჯერად ტურ-თამაშებში ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული პარლამენტისა და საჯარო სკოლები დაკომპლექტებული 5 გუნდი მონაწილეობდა. თითო გუნდი ექვსი წევრისგან შედგებოდა. მოთამაშეებს 8 დაბრკოლების გადალახვა მოუხდათ. დაძაბული და სახალისო შეჯიბრების გამარჯვებული ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა საქარის საჯარო სკოლის გუნდი გახდა. გამარჯვებული და თამაშის თითოეული მონაწილე ფასიანი საჩუქრებით ზესტაფონის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურმა დააჯილდოვა. „ცაშეკრულის კანიონში“ გუნდებს პროფესორი, გეომორფოლოგი, გეოგრაფიის აკადემიის დოქტორი გიორგი დვალაშვილი გულშემატკივრობდა.

თამარ მაღრაძე

მძლეოსნობის ჩემპიონატში ხარაგაულის ცხრა საჯარო სკოლის 47 მოსწავლე მონაწილეობდა

23 ოქტომბერს ნადაბურის საჯარო სკოლამ მძლეოსნობაში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის პირველობას უმასპინძლა. სპორტულ ჩემპიონატში ხარაგაულის ცხრა საჯარო სკოლის 47 მოსწავლე მონაწილეობდა.

პროგრამაში შედიოდა რბენა 1500 მეტრზე (ვაჟები), 800 მეტრზე(გოგონები), სიგრძეზე ხტომა, ბირთვის კვრა. სპორტულ შეჯიბრებებს მსაჯობას მერაბ იჩქიტიძე უწევდა. შეჯიბრებას სოფლის ინტელიგენციის წარმომადგენელები და ნადაბურის საჯარო სკოლის კურსდამთავრებულები ესწრებოდნენ.

გამარჯვებულები სპორტის მართვის ცენტრის დირექტორმა დავით გელაშვილმა დააჯილდოვა. საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა დავით კიკნაძემ კი, სკოლის დირექტორს დოდო ხაჩიძეს სპეციალური საჩუქარი გადასცა.

სხვადასხვა სპორტულ აქტივობაში გამარჯვებულები გახდნენ, და I, II და III ადგილები შემდეგმა მოსწავლეებმა გადაინაწილეს:

რბენა 60 მეტრზე
ბიჭები
1. თედორე ტაბატაძე – ნადაბური
2. რომანი გელაშვილი – ნადაბური
3. გიორგი გრიგალაშვილი – ხევი
გოგონები
1. თამარ ტაბატაძე – ნადაბური
2. ნინო გრიგალაშვილი – ხევი
3. გვანცა ტაბატაძე – ხევი
რბენა 1500 მეტრზე
1. გიორგი გრიგალაშვილი – ხევი
2. გიგა გელაშვილი –ნადაბური
3. დათო ბუხნიკაშვილი – N2 სკოლა
რბენა 800 მეტრზე
1. ნინო გრიგალაშვილი – ხევი
2. თამარ გრიგალაშვილი – ხევი
3. ქეთევან გელაშვილი – ნადაბური
სიგრძეზე ხტომა
1. რომან გელაშვილი – ნადაბური
2. თედორე ტაბატაძე – ნადაბური
3. ლევან გორგაძე – ხევი
გოგონები
1. დიანა გელაშვილი – ნადაბური
2. ნინო გრიგალაშვილი– ხევი
3. თამარ ტაბატაძე – ნადაბური
ბირთვის კვრა
1. რომანი გელაშვილი – ნადაბური
2. გიორგი გრიგალაშვილი – ხევი
3. დათო ბუხნიკაშვილი – N2 სკოლა
გოგონები
1. ლიანა გელაშვილი – ნადაბური
2. თამარ ტაბატაძე – ნადაბური
3. ხატია ტაბატაძე – ხევი

ხარაგაუღში „ENPARD” -ის ფარგლებში უკვე მეორე კოოპერატივი „მეღვინეობა - კიცხი“ გაიხსნება

„ENPARD“ -ის კოოპერატივების შექმნისა და ჩამოყალიბების პროგრამაში აქტიურადაა ჩართული ხარაგაულის მუნიციპალიტეტი. ხარაგაულში „ENPARD“ -ის ფარგლებში უკვე მეორე კოოპერატივი„მეღვინეობა - კიცხი“ გაიხსნება. კონკურსის გამარჯვებული სოფელ კიცხში მცხოვრები ჰამლეტ ბერაძის პროექტი გახდა.

„ENPARD“ -ის ფარგლებში კიცხში შექმნილი ღვინის საწარმო, მომავალი წლის შემოდგომაზე უკვე ამოქმედდება და სოფლის მოსახლეობას ყურძნის გადამუშავებაში გაუწევს დახმარებას. კოოპერატივის წევრების ვალდებულებაა შენობის აშენება, ხოლო საწარმოს ფუნქციონირებისთვის საჭირო ტექნიკა პროექტის ფარგლებში გადაეცემათ.

„ENPARD“ -ი ევროპის სამეზობლო 5 წლიანი პროგრამაა, რომელსაც საქართველოში ჩეხური ორგანიზაცია PIN- ი ახორციელებს. პროგრამა ხელისუფლებას, სამოქალაქო საზოგადოებასა და ფერმერებს შორის მრავალმხრივი თანამშრომლობის პირობებში, საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორის გამოცოცხლებას ისახავს მიზნად. პროგრამის საერთო ბიუჯეტი 52 მილიონი ევროა და იგი ევროკავშირიდან ფინანსდება. „ENPARD“ -ი სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის სხვადასხვა სახის პროექტებს ახორციელებს. მათ შორის საქართველოში ყველაზე წარმატებული კოოპერატივების პროექტია. ეს უკანასკნელი საშუალებას აძლევს მოქალაქეებს, გაერთიანდნენ და თანადაფინანსებით განახორციელონ საინტერესო იდეები.

როგორც პროექტის ავტორი ჰამლეტ ბერაძე აღნიშნავს, დაახლოებით ერთი წლის წინ გაუჩნდა იდეა, თანამოაზრეებთან ერთად, მონაწილეობა მიეღო „ENPARD“ -ის პროგრამაში. კოოპერატივი, რომელიც კიცხში ღვინის საწარმოს ამუშავებას გულისხმობს, სახელწოდებით „მეღვინეობა-კიცხი“ დაფუძნდა.

„როცა აღნიშნული პროგრამის შესახებ გავიგე, აქტიურად დავიწყე მუშაობა. ჩემს თანამოაზრეებთან ერთად რამდენიმე საფეხური დამოუკიდებლად გავიარე. პროექტი კარგად შევიმუშავეთ, ჩვენი იდეა ორგანიზატორებს სწორად მივაწოდეთ და, ალბათ, ამიტომაც გავიმარჯვეთ. ამჟამად მიმდინარეობს გარკვეული ინფორმაციის დაზუსტება. რამდენიმე დღეში გაფორმდება ხელშეკრულება, რომელშიც უფრო დეტალურად იქნება ყველაფერი გაწერილი. აღსანიშნავია, რომ პროექტის ფარგლებში მივდივართ ჩეხეთში, სადაც მსგავსი ტიპის კოოპერატივებს დავათვალიერებთ და იქაურ გამოცდილებას გავიზიარებთ.“ -აღნიშნა ჩვენთან საუბარში ჰამლეტ ბერაძემ.

პროექტების კოორდინატორის, ქეთევან გოცირიძის ინფორმაციით, ჰამლეტ ბერაძის პროექტი სწორედ იმიტომ გახდა გამარჯვებული, რომ ყველა საფეხური დეტალურად და დასაბუთებულად ჰქონდა გავლილი. „ჩვენმა ორგანიზაციამ მონიტორინგი განახორციელა, ადგილზე ვნახეთ, რომ მათ ნამდვილად შეუძლიათ სოფელში კოოპერატივის ფარგლებში შექმნან ღვინის საწარმო. მათ უკვე მოგვაწოდეს სია, რომელშიც დასაბუთებულია ტექნიკა, რომელიც ესაჭიროებათ. ამ ეტაპზე მიმდინარეობს ამ წინადადებების განხილვა. წარმატებებს ვუსურვებ ჰამლეტს და, ზოგადად, მათ შექმნილ კოოპერატივს.“

ამჟამად კოოპერატივში „მეღვინეობა-კიცხი“ 6 წევრია გაერთიანებული. მომავალში საწარმოს გამართული ფუნქციონირებისთვის კიდევ რამდენიმე ადამიანი დასაქმდება.

„ENPARD“ -ის პროგრამის ფარგლებში ჩეხურმა ორგანიზაციამ უკვე მესამე ეტაპი დაიწყო. ხარაგაულიდან წინადადებების მიწოდება ახალ პროექტებთან დაკავშირებით 17 ნოემბრამდე უნდა დასრულდეს.

თეა ბერიძე

მთავრი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში

ხარაგაუღის მუნიციპალიტეტში სამაგიდო თამაშების ჩემპიონატი მიმდინარეობს

მიმდინარე წლის 4 ნოემბრიდან 24 ნოემბრის ჩათვლით, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მასშტაბით, გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ორგანიზებით სამაგიდო თამაშების ჩემპიონატი მიმდინარეობს. ზონალური ტურები გაიმართა მოლითის, კიცხის, ბორითისა და დაბის ადმინისტრაციულ ერთეულებში. თამაშებში 150-მდე მოყვარული მონაწილეობდა.

გამოვლინდნენ ზონალურ ტურებში გამარჯვებულები

1. მოლითი - ნარდი I ადგილი - სერგო ღონღაძე;
II ადგილი - ლევან ღონღაძე;
მოლითი - დომინო I ადგილი - თედო ლაცაბიძე, დათო ღონღაძე;
II ადგილი - როლანდ ცუცქირიძე, ჯაბა ცუცქირიძე;
2. კიცხი - ნარდი I ადგილი - მურმან დვალი
II ადგილი - გია მაჭავარიანი
დომინო I ადგილი - მურმან დვალი, გია მაჭავარიანი;
II ადგილი - ფარნა ჩხიკვაძე, გია ჩხიკვაძე;
3. ბორითი - ნარდი I ადგილი - კახა ლომიძე
II ადგილი - სოსო სხილაძე
დომინო I ადგილი - ბადრი გელაშვილი, ზაურ გელაშვილი;
II ადგილი გიორგი გამცემლიძე, ხვიჩა კიკნაძე
4. დაბა ხარაგაული - ნარდი I ადგილი - დიმიტრი მაჭავარიანი
II ადგილი - ბადრი ვეფხვაძე
დომინო I ადგილი - გელა წიქარიშვილი, სერგო ბერაძე;
II ადგილი - გიორგი სახვაძე, დავით ჩადუნელი

გამომცემელი ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი"
მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ.№15, ტელ: 22 10 25; ტირაჟი 1000 ცალი
დირექტორი: ეკა შავიძე; ტელ.: 595 51 98 12